



ს დ ა ს უ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

“___” _____ 2017 წ.

სამართლის სკოლა

სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

P
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში: “სდასუ”) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო არის სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში: “სადისერტაციო საბჭო”).

1.2 სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს აკადემიური ავტონომიურობის პრინციპზე დაყრდნობით.

1.3 სადისერტაციო საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციების, კონვენციებისა და კომუნიკაციების, აგრეთვე სდასუ-ს დებულების, დოქტორანტურის სტანდარტის, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის რეგულირების წესის, სამართლის სკოლის დებულების, სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭოს ძირითადი მიზნები

2.1 სადისერტაციო საბჭოს ძირითადი მიზნებია:

ა)სამეცნიერო საქმიანობის უნარის მქონე პირების გამოვლენა და მათი ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი აკადემიური და სამეცნიერო იურიდიული პროფილის კადრების მომზადება;

ბ)სამართლის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და მომავალზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზება და დოქტორანტებისთვის სათანადო პირობების შექმნა დამოუკიდებელი კვლევების საწარმოებლად;

გ)უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ინტერნაციონალიზაცია, უნივერსიტეტის განათლების ევროპულ სივრცესა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაცია, დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის წახალისება.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

3.1 სადისერტაციო საბჭო:

ა)სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით, ირჩევს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს;

ბ)სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სადისერტაციო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

გ)განიხილავს სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისა და შეჩერების საკითხს;

დ)შეიმუშავებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის კრიტერიუმებსა და წესს;

- ე) განსაზღვრავს სასწავლო კურსების თემატიკას;
- ვ) იხილავს და ამტკიცებს სასემინარო ნაშრომის თემებს პროფესორის წარდგინებით;
- ზ) განსაზღვრავს რეცენზირებად/რეფერირებად სამეცნიერო გამოცემათა ჩამონათვალს, რომელშიც სასურველია დოქტორანტი გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომი;
- თ) იხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო თემებს და შეიმუშავებს შესაბამის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებსაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
- ი) ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს;
- კ) წყვეტს სადისერტაციო თემისა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, სამეცნიერო თანახელმძღვანელის შეცვლის საკითხებს;
- ლ) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისთვის დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თაობაზე;
- მ) ანიჭებს სამართლის დოქტორის აკადემიურ ხარისხს;
- ნ) აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის შესახებ;
- ო) აკადემიურ საბჭოს წარუდგენს აღიარებულ მეცნიერს სდასუ-ს სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად;
- პ) ისმენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, არაუგვიანეს ერთი თვისა სასწავლო წლის დაწყებიდან ან, საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით;

3.2 ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და სდასუ-ს დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

- 4.1 სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო შედგება ამავე სკოლის ყველა პროფესორის და ასოცირებული პროფესორისაგან.
- 4.2 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნენ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე სხვა პირები.

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

- 5.1 სადისერტაციო საბჭოს მიმდინარე საქმიანობას წარმართავს და ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
- 5.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სამი წლის ვადით.
- 5.3 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოს წევრს.
- 5.4 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სამართლის სკოლის დეკანი.
- 5.5 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
 - ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას;
 - ბ) ანგარიშვალდებულია სადისერტაციო საბჭოს წინაშე;
 - გ) წარმოადგენს სადისერტაციო საბჭოს სდასუ-ს აკადემიური საბჭოსა და რექტორის, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წინაშე;
 - დ) თავმჯდომარეობს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
 - ე) სადისერტაციო საბჭოს სახელით ნიშნავს დისერტაციის ოპონენტებს;

- ვ)სადისერტაციო საბჭოს სახელით ნიშნავს დისერტაციის დაცვას;
- ზ)სადისერტაციო საბჭოს სახელით, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტებს.

5.6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას წარმართავს თავმჯდომარის ან საბჭოს მიერ შერჩეული საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 6. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

6.1 სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმისწარმოებას ახორციელებს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.

6.2 სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

- ა)უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს სახელზე შემოსული დისერტაციების და პუბლიკაციების, აგრეთვე წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;
- ბ)ამზადებს წერილებისა და სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტებს;
- გ)ამზადებს სადისერტაციო საბჭოს სხდომებს;
- დ)უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას;
- ე)პასუხისმგებელია სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურისა და ფორმალური სტანდარტების დაცვაზე;
- ვ)აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს არქივს.

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

7.1 სადისერტაციო საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

- ა)სდასუ-ს აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შედეგად;
- ბ)სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;
- გ)მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად.

7.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

7.3 ამ დებულების მე-4 მუხლის მე-4.2 პუნქტში მითითებული პირების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, წყვეტს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება

8.1 სადისერტაციო საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება ისეთი მნიშვნელოვანი გარემოების არსებობისას, რაც ერთი სემესტრის განმავლობაში შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას სადისერტაციო საბჭოს სხდომებში.

8.2 სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭოს სხდომების ჩატარების პერიოდულობა

9.1 სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ერთხელ მაინც.

9.2 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სადისერტაციო საბჭოს სხდომას იწვევს: საკუთარი ინიციატივით, დეკანის, სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ან სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ სამი წევრის მოთხოვნით.

მუხლი 10. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

- 10.1 სადისერტაციო საბჭოს სხდომებს ესწრებიან სადისერტაციო საბჭოს წევრები.
- 10.2 საჭიროებიდან გამომდინარე სადისერტაციო საბჭოს მიერ მოწვეულ პირებს უფლება აქვთ დაესწრონ სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.
- 10.3 დაინტერესებულ პირთა მხრიდან სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, სხდომაზე ან მის ნაწილზე დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.
- 10.4 სადისერტაციო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს სადისერტაციო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- 10.5 თუ წინამდებარე დებულებით სხვა წესი არ არის დადგენილი, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
- 10.6 სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობა იანგარიშება სადისერტაციო საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით.

მუხლი 11. სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი

- 11.1 სადისერტაციო საბჭოს წევრთაA შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.
- 11.2 სადისერტაციო საბჭოს სხდომების ოქმები ინახება სწავლულ მდივანთან, არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა სდასუ-ს არქივს.

თავი II დოქტორანტურა

მუხლი 12. დოქტორანტურის სტატუსი

- 12.1 სდასუ-ს სამართლის სკოლის დოქტორანტურა (შემდგომში “დოქტორანტურა”) არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს სამართლის მიმართულებით სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
- 12.2 დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამართლის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
- 12.3 დოქტორანტურაში სწავლა, დისერტაციის დაცვა და დოქტორანტისთვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხორციელდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 13. სამართლის სადოქტორო პროგრამა

13.1 სამართლის სადოქტორო პროგრამა დარგობრივი სადოქტორო პროგრამაა და ორიენტირებულია სამართლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერულ კვლევაზე, სამართლის მეცნიერების, სამართლებრივი აზროვნებისა და სამართლის სისტემების განვითარების ხელშეწყობაზე.

13.2 „სამართლის“ სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, რომ მისმა კურსდამთავრებულმა შეძლოს ახალი ცოდნის გენერირება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, სწავლისა და კვლევის ინოვაციური მეთოდებით სარგებლობა.

13.3 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს დეკანის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

13.4 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც სდასუ-ს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, ისე სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული წევრი. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან ერთად დოქტორანტებისათვის კონსულტაციის გაწევა ინდივიდუალური პროფილის ოპტიმალურად ფორმირების მიზნით, დოქტორანტების აკადემიური საქმიანობის მონიტორინგი და სხვ.

13.5 სადოქტორო პროგრამის შემადგენელი ნაწილია პროგრამის სასწავლო გეგმა, სადაც აისახება სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი თანაფარდობა, სასწავლო კომპონენტების ცალკეული ელემენტები და ამ ელემენტების მიხედვით კრედიტების დაგროვების ფარგლები. სასწავლო გეგმაში მოცემულია წინაპირობების მატრიცა.

13.6 სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ:

ა) სდასუ-ს პროფესორები და ასოცირებული პროფესორები;

ბ) სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრებად არჩეული ან სდასუ-ში მოწვეული სამართლის დოქტორები ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები;

გ) პარტნიორი დაწესებულებების მეცნიერები.

13.7 სადოქტორო პროგრამა განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

მუხლი 14. სადოქტორო საკვლევი თემები

14.1 სადოქტორო საკვლევ თემას წარმოადგენს დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს თემის სავარაუდო ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა, ასევე საჭიროების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო წინასწარ აცხადებს სადოქტორო საკვლევ თემებს და სთავაზობს მათ დოქტორანტურაში სწავლის მსურველებს.

14.2 სადისერტაციო საკვლევი თემების აქტუალობა და სიახლე, მისი მნიშვნელობა სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის უნდა დასაბუთდეს დოქტორანტის მიერ წერილობით სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მიერ.

14.3 სადოქტორო საკვლევი თემის გამოცხადების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო ვალდებულია წინასწარ განიხილოს და დაამტკიცოს სადოქტორო საკვლევი თემები, შეიმუშაოს საკვლევი თემების მიხედვით ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები და დასამტკიცებლად წარუდგინოს სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს.

14.4 სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო საკვლევი თემები და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

მუხლი 15. სადოქტორო პროგრამის აღწერილობა

15.1 სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით. დოქტორანტის მიერ დახარჯული დროის (საათების) შეფასება ხორციელდება ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS).

15.2 სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. სასწავლო კომპონენტის მოცულობა განისაზღვრება 60 კრედიტით, ხოლო კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა) - 120 კრედიტით.

15.3 საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული კრედიტების აღიარებას, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის შუამდგომლობით, ახდენს რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია.

15.4 უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული კრედიტების აღიარება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი

16.1 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, უქმნის მყარ თეორიულ საწინდარს დამოუკიდებელი კვლევების წარმოებისათვის, ხელს უწყობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

16.2 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ელემენტებისაგან.

16.3 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სავალდებულო და/ან არჩევით ელემენტად შეიძლება შევიდეს: ძირითადი მეცნიერული და პედაგოგიური უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები (სამართლებრივი კვლევის მეთოდები, სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისათვის, მეცნიერების მენეჯმენტი, კურიკულუმის ფორმირების თანამედროვე მეთოდები, სწავლების თანამედროვე მეთოდები, და სხვა).

16.4 პროგრამის სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებულ ყველა აქტივობაში დოქტორანტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (21 ქულა), დასკვნით შეფასებაში კი, ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 50 %.

16.5 სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტია **პროფესორის ასისტენტობა** (წინაპირობა-სწავლების თანამედროვე მეთოდები), რაც გამოიხატება სხვადასხვა სასწავლო კურსების მსვლელობისას პროფესორის ასისტენტის მოვალეობის დროებით შესრულებაში. პროფესორის ასისტენტობის შუალედური შეფასება ხდება დოქტორანტის ხელმძღვანელის ან სხვა პროფესორის მიერ, რომელსაც დოქტორანტი

გაუწევს ასისტენტობას. დასკვნითი შეფასება (საჯარო ლექცია) ხორციელდება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (დანართი N 4)

16.6 სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტია ორი **სასემინარო ნაშრომის მომზადება** და დაცვა; სასემინარო ნაშრომის თემა, სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელს დოქტორანტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. სასემინარო ნაშრომზე მუშაობისას დოქტორანტს ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელი. სასემინარო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად: 1. შუალედური შეფასება სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ (მაქსიმუმ 30 ქულა), – რეცენზენტის მიერ (მაქსიმუმ 30 ქულა). 2. დასკვნითი შეფასება კომისიის მიერ - პრეზენტაცია (მაქსიმუმ 40 ქულა). სასემინარო ნაშრომი დაიშვება პრეზენტაციაზე თუ ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებათა ჯამით დოქტორანტს უგროვდება მინიმუმ 21 ქულა.

16.7 სასემინარო ნაშრომის რეცენზენტს ნიშნავს სამართლის სკოლის დეკანი.

16.8 სასემინარო ნაშრომის პრეზენტაცია წარმოებს დარგობრივი კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

16.9 სასემინარო ნაშრომი ჩაითვლება ჩაბარებულად და მიენიჭება კრედიტი თუ დოქტორანტი დააგროვებს პრეზენტაციისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის (40 ქულა) 50%-ს, ამასთან შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამით დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას (დანართი # 5).

16.10 ხელმძღვანელის და რეცენზენტის მიერ სასემინარო ნაშრომის უარყოფითად (0-21 ქულა) შეფასების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს მიმდინარე სემესტრში აღნიშნული სასემინარო ნაშრომის დაცვის უფლებას.

16.11 სასემინარო ნაშრომის თემა არ შეიძლება შეადგენდეს სადისერტაციო თემის ნაწილს, ის უნდა შესაბამებოდეს სპეციალიზაციას და უნდა ემსახურებოდეს დოქტორანტის დარგობრივ დახელოვნებას.

16.12 სასემინარო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პარამეტრებს; საორიენტაციო მოცულობა _ 30-35 გვერდი, შრიფტი _ „სილფაენი“, ფურცლის ზომა _ AA4, ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა _ 12, სქოლიოსი _ 10, სტრიქონებს შორის მანძილი _ 1,5, აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, აბზაცის 1-ლი სტრიქონის დაშორება ფურცლის მარცხენა კიდიდან იგივეა, რაც დანარჩენი სტრიქონებისა. გვერდის საზღვრები: მარცხნიდან _ 3,0 სმ., მარჯვნიდან 1,5 სმ., ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

16.13 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე, სასემინარო ნაშრომის შემთხვევაში-პრეზენტაციაზე, ხოლო პროფესორის ასისტენტობის შემთხვევაში -საჯარო ლექციაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი; პროფესორის ასისტენტობის შემთხვევაში ეს აქტივობა თავიდან უნდა შეასრულოს; სასემინარო ნაშრომის შემთხვევაში დოქტორანტმა ახალი სასემინარო ნაშრომი უნდა მოამზადოს და წარმოადგინოს.

16.14 უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

16.15 სასწავლო კომპონენტის ფარგლებში სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს დოქტორანტის სასწავლო დატვირთვის კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

მუხლი 17. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

17.1 სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის პროფესიულ დახელოვნებას, დამოუკიდებელ მკვლევარად ჩამოყალიბებას, განათლების ევროპულ სივრცესა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაციას, აგრეთვე დოქტორანტისთვის ხელის შეწყობას სადისერტაციო ნაშრომის შესრულებასა და მომავალი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის მყარი საწინდარის შექმნაში.

17.2 სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტს შეადგენს სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (120 კრედიტი). დისერტაციაზე დოქტორანტი მუშაობს დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან 6 სემესტრის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტი დადგენილ ვადაში ვერ მოასწრებს სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას, მას უფლება აქვს დამატებით გაიგრძელოს სემესტრი, მაგრამ არაუმეტეს 4 სემესტრისა.

17.3 სადისერტაციო ნაშრომი უნდა პასუხობდეს წინამდებარე დებულების 30-ე მუხლის მოთხოვნებს.

17.4 სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პირობებს განსაზღვრავს ამ დებულების 32-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად.

17.5 სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

17.6 სადისერტაციო ნაშრომის შეფასება განხორციელდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) დანართი # 6 შესაბამისად.

მუხლი 18. დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა

18.1 დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა (შემდგომში „ინდივიდუალური გეგმა“) დგება დოქტორანტურაში ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში, სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან და პროგრამის სადოქტორო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

18.2 დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა იქმნება სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური უნარების ჩამოსაყალიბებლად, სადოქტორო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კომპონენტებიდან სასურველი ელემენტების შესარჩევად და აუცილებელი კრედიტების დაგროვების სავარაუდო გრაფიკის დასადგენად.

18.3 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმაში აისახება სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი ელემენტების შემადგენლობა, დოქტორანტის მიერ სასწავლო კომპონენტების დასაძლევად შესასრულებელი სამუშაოს (კრედიტების მოპოვების) სემესტრების მიხედვით გაწერილი სავარაუდო გრაფიკი, აგრეთვე მოცემული უნდა იყოს განსახორციელებელი სადისერტაციო კვლევის მიზნები და ამოცანები, სავარაუდო შედეგები, სადისერტაციო თემის აქტუალობა, ჰიპოთეზა, სიახლე და მნიშვნელობა და შესრულების სავარაუდო გრაფიკი, აგრეთვე სასემინარო ნაშრომების შესრულების სავარაუდო გრაფიკი.

18.4 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას განიხილავს და ამტკიცებს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო.

18.5 სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის მიმდინარეობის შესახებ დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან ერთად დისერტაციის წარმოდგენამდე არანაკლებ 3-ჯერ ანგარიშს წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს დარგობრივ კომისიას.

მუხლი 19. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

19.1 სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირს.

19.2 დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა გარე მობილობის საფუძველზე.

19.3 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს.

მუხლი 20. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები

20.1 დოქტორანტის სტატუსის მოსაპოვებლად საჭიროა, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა, სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა და დოქტორანტობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება.

20.2 დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხოური ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება სერტიფიკატის წარმოდგენით ან გამოცდის ჩაბარებით უცხოურ ენაში.

20.3 დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, მოეთხოვება აგრეთვე ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც დგინდება სერტიფიკატის წარმოდგენით ან გამოცდის ჩაბარებით ქართულ ენაში.

20.4 სერტიფიკატის წარმოდგენისა და უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან დოქტორანტობის კანდიდატები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მუხლი 21. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

21.1 დოქტორანტურაში საბუთების მიღება ცხადდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

21.2 დოქტორანტურაში პირი ჩარიცხება სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წინასწარ არჩეული სადისერტაციო თემით ან სადისერტაციო საბჭოს მიერ წინასწარ გამოცხადებული სადისერტაციო თემის მიხედვით.

21.3 დოქტორანტობის კანდიდატმა სდასუ-ს რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება (დანართი 1). განცხადებას თან ერთვის:

ა) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ („CV“);

ბ) სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

გ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი.

დ) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა, სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;

ე) განმცხადებლის წერილობითი დასტური იმისა, რომ არ ირიცხება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში (დანართი # 2).

21.4 სადისერტაციო თემის სავარაუდო ხელმძღვანელის შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა.

21.5 დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა დოქტორანტობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში გამარჯვება, რომელიც ორი ეტაპისგან შედგება: პირველ ეტაპზე დოქტორანტობის კანდიდატი გამოცდას ჩააბარებს უცხოურ ენაში B2 დონეზე (საჭიროების შემთხვევაში – ქართულ ენაშიც) სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიასთან (შესაბამისი სერტიფიკატის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარასებობის შემთხვევაში); მეორე ეტაპზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი გასაუბრებას გაივლის/გამოცდას ჩააბარებს სადისერტაციო საბჭოს წევრებისგან სამართლის სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილ დარგობრივ კომისიასთან;

21.6 დოქტორანტობის კანდიდატი წერილობითი სახით წარმოადგენს საკუთარ ხედვას (კონცეფციას) წინასწარ გამოცხადებულ საკვლევ თემაში/წინასწარ შერჩეულ სადისერტაციო თემაში დანახული პრობლემების გადაჭრის გზების, კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების და სავარაუდო შედეგების შესახებ.

21.7 პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება და ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი დაენიშნება, თუ ღია კენჭისყრისას მხარს დაუჭერს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა და გამოცდაში (გამოცდებში) მიიღებს დადებით შეფასებას.

21.8 გასაუბრების წარმატებით გავლის, გამოცდის (გამოცდების) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით, პირი დოქტორანტურაში ჩაირიცხება სდასუ-ს რექტორის ბრძანებით.

21.9 ჩარიცხვიდან ერთი თვის ვადაში უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 22. დოქტორანტი

22.1. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით დოქტორანტურაში ჩარიცხული პირი იძენს სდასუ-ს დოქტორანტის სტატუსს.

22.2. დოქტორანტს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს სადისერტაციო თემა;

ბ) აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი;

გ) ისარგებლოს სდასუ-ს ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და ტექნიკური ბაზით.

22.3. დოქტორანტი ვალდებულია:

ა) დაიცვას სდასუ-ს დებულება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მოცემული დებულება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) შეასრულოს ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა;

გ) დარგობრივი კომისიის სხდომაზე წარადგინოს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თანახელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებული ანგარიში ინდივიდუალური გეგმის კვლევითი კომპონენტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დ) გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

22.4. ამ დებულების 22.3 „გ“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 23. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი

23.1 სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს ხელმძღვანელით ან ხელმძღვანელით და თანახელმძღვანელით. ამასთან, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი.

23.2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ სდასუ-ს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი. თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი. სამეცნიერო ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელს და თანახელმძღვანელს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამართლის შესაბამისი სპეციალობით უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება, ან

იყოს დარგის აღიარებული სპეციალისტი ან გამოქვეყნებული ჰქონდეს მინიმუმ ერთი ნაშრომი დოქტორანტის საკვლევი თემის სფეროში.

23.3 სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ზედამხედველობას და კონტროლს უწევს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო საკვლევი თემის დამოუკიდებლად დამუშავებაში. **M**

23.4 დოქტორანტის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე დასაშვებია დისერტაციის თემისა და/ან ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის შეცვლა. დისერტაციის თემის შეცვლის ან სათაურის დაზუსტებისთვის დამატებით აუცილებელია დოქტორანტის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა.

23.5 სამეცნიერო ხელმძღვანელს ან თანახელმძღვანელს პატივსაღები მიზეზის არსებობის შემთხვევაში უფლება აქვს უარი თქვას ხელმძღვანელობაზე ან თანახელმძღვანელობაზე, რის თაობაზეც სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგენს დასაბუთებულ ახსნა-განმარტებას.

23.6 დოქტორანტისთვის სამეცნიერო თემის და/ან სამეცნიერო ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის შეცვლის საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო.

23.7 გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს პროფესორმა, იღებს სადისერტაციო საბჭო, პროფესორის აზრის გათვალისწინებით და მისი დატვირთვიდან გამომდინარე.

მუხლი 24. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

24.1 დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისთვის.

24.2 სადოქტორო პროგრამა შედგენილია 6 სემესტრიანი პერიოდისთვის.

24.3 დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო თემის შეცვლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმის საკითხსა და დოქტორანტურაში სწავლების ვადებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

24.4 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

მუხლი 25. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

25.1 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება სტატუსი შეუწყდეს:

ა) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;

ბ) უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას.

გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის შუამდგომლობით, თუ მას მიაჩნია, რომ დოქტორანტი სწავლის დარჩენილ პერიოდში ვერ შეასრულებს ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ ელემენტებს; ხელმძღვანელსა და თანახელმძღვანელს შორის განსხვავებული პოზიციის არსებობის შემთხვევაში, საკითხს განიხილავს და სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართავს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

დ) პირადი განცხადების საფუძველზე;

ე) სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

25.2ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტუდენტს დოქტორანტის სტატუსი შეუწყდება, თუ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ 2/3.

25.3დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა ხდება სდასუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

25.4დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს შეიძლება შეეცვალოს სადისერტაციო თემა და/ან ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.

მუხლი 26. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

26.1 დოქტორანტის სტატუსის შეჩერების საკითხი განიხილება სდასუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის შესაბამისად.

M

მუხლი 27. დოქტორანტურის საფასური და დაფინანსება

27.1 დოქტორანტურაში სწავლის საფასური განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.

27.2 სადოქტორო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება:

ა)დოქტორანტის ან სდასუ-ს მიერ მოპოვებული გრანტებით;

ბ)მიზნობრივი დაფინანსებით_იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, სადოქტორო პროგრამებიდან ან საკვლევი თემებიდან ერთი ან რამოდენიმეს განსახორციელებლად, გამოყოფილი სახსრებით;

გ)თვითდაფინანსებით_დოქტორანტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის საფასურის დამოუკიდებლად დაფარვით.

27.3 სადოქტორო პროგრამები შესაძლებელია დაფინანსდეს სხვა ისეთი, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული წყაროებიდანაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას.

თავი III. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი

მუხლი 28. სადისერტაციო საქმისწარმოების დაწყება

28.1 დისერტაცია არის დოქტორანტის მიერ დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

28.2 დოქტორანტს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭება დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის წარმატებით დაცვის შემთხვევაში.

28.3 სადისერტაციო საქმისწარმოება იწყება სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის დამტკიცებით.

მუხლი 29. დისერტაციის წარდგენის წინაპირობა

29.1 დასრულებული სახით დისერტაცია წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

29.2D დისერტაციის წარდგენამდე დოქტორანტი ვალდებულია შეასრულოს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

29.3 დისერტაციის წარდგენისას დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის წერილობითი დადებითი დასკვნა/დასკვნები იმის თაობაზე, რომ გაეცნო დისერტაციას, დოქტორანტმა შეასრულა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული სამუშაო და სადისერტაციო ნაშრომი მზად არის დასაცავად. დასკვნაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაშრომის აქტუალობაზე, სტრუქტურაზე, შინაარსზე, ანალიზის სიღრმესა და კვლევის ხარისხზე, სიახლეზე, მონაცემთა სარწმუნოობაზე, გამოყენებულ უახლეს ლიტერატურაზე, ციტირებებზე, აკადემიურ სტილზე და დისერტაციისადმი წაყენებულ სხვა მოთხოვნებზე.

29.4. დისერტაციის წარდგენის წინაპირობაა:

29.4.1 დოქტორანტის მიერ რეცენზირებად სამეცნიერო პერიოდიკაში (მათ შორის ერთი რეფერირებად სამეცნიერო გამოცემაში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში) გამოქვეყნებული, დისერტაციის შემადგენელი სამი სამეცნიერო სტატია;

29.4.2 დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებული პრობლემატიკით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 30. დისერტაციისთვის წაყენებული მოთხოვნები

30.1 დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგს, უნდა იყოს აქტუალური, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე, მასში გადაწყვეტილი უნდა იყოს სამართლის მეცნიერებისთვის პრობლემატურად მიჩნეული ერთი საკითხი მაინც, რითაც დოქტორანტს უნდა შეჰქონდეს საკუთარი წვლილი სამართლის შესაბამისი დარგის განვითარებაში.

30.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

30.3 სადისერტაციო საბჭოს ნებართვით, გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია დისერტაციის სხვა ენაზე შესრულება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს ქართულ ენაზე წარუდგინოს სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები.

30.4 სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა პირობითად სამი ნაწილითაა წარმოდგენილი: ფორმალური ნაწილი; არსებითი ნაწილი; დამატებითი ნაწილი.

30.4.1 ფორმალური ნაწილის კომპონენტებია:

თავფურცელი - სადისერტაციო ნაშრომის 1-ლი გვერდი, რომელზედაც განთავსებულია თემის სათაური, ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, უნივერსიტეტი, რომელშიც დისერტაციის დაცვა შედგება, უნივერსიტეტის ადგილმდებარეობა (ქალაქის დასახელება) და დაცვის წელი.

განაცხადი ეთიკის თაობაზე - სადისერტაციო ნაშრომის ავტორის განაცხადი იმის შესახებ, რომ ნაშრომი არ არის პლაგიატი, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები. ტექსტის ქვემოთ კეთდება ავტორის პირადი ხელმოწერა. განაცხადისთვის გამოიყოფა ცალკე ფურცელი.

სარჩევი - მიეთითება შესავალი, ყველა თავი, ქვეთავი, დასკვნა, დანართი, ბიბლიოგრაფია.

30.4.2 არსებითი ნაწილი შედგება შესავლის, ძირითადი ტექსტისა და დასკვნისაგან.

შესავალი - სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა გამოიკვეთოს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, დასაბუთდეს მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა, წარმოჩნდეს კვლევის მიზნები და ამოცანები, პრობლემის დამუშავების ხარისხი, კვლევის მეთოდოლოგია გამოყენებული მეთოდების რელევანტურობის ჩვენებით, აღწეროს კვლევის შედეგები, გამოიკვეთოს ძირითადი დებულებები, სიახლე, წარმოჩნდეს დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ძირითადი ტექსტი - შედგება თავებისა და ქვეთავებისგან. მათში ხდება გამოყენებული წყაროების (პრობლემატიკასთან დაკავშირებული ნაშრომების, ნორმატიული აქტების, სასამართლო პრაქტიკის მასალების და სხვ.) აღწერა, შეფასება, სადავო შეხედულებების წარმოჩენა, ჩატარებული კვლევის დაწვრილებით აღწერა გამოყენებული მეთოდების მითითებით, კვლევის შედეგების, საკუთარი მიგნებების, სიახლის (ახალი მიდგომების, წარმოდგენების, პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური მოდელის, მოვლენის განვითარების კანონზომიერების, არსებული ტერმინების ახლებური განმარტების, ახალი მეცნიერული/დარგობრივი მიმართულების ჩამოყალიბების და ა.შ.) გამოკვეთა. საილუსტრაციო მასალებიდან ძირითად ტექსტში შეიძლება განთავსდეს კვლევის შედეგად დისერტაციის ავტორის მიერ შემუშავებული ცხრილები და გრაფიკები, ავტორის მიერვე შემუშავებული დოკუმენტები პროექტების, მოდელის, ნიმუშების და სხვათა სახით.

დასკვნა - სადისერტაციო ნაშრომის ლოგიკური დასრულებაა, რომელშიც კომპაქტურად ჯამდება კვლევის შედეგები, არსებითად წარმოჩნდება სიახლე და მისი მნიშვნელობა, განისაზღვრება რეკომენდაციები.

ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია - გამოყენებული ლიტერატურული და სხვა წყაროების (კანონები, საერთაშორისო აქტები, სასამართლო პრაქტიკის მასალები, ინტერნეტ-მასალები და ა.შ.) ჩამონათვალი ანბანური თანმიმდევრობით - ჯერ ქართულენოვანი გამოცემები, შემდეგ უცხოური.

30.4.3 დამატებითი ნაწილი

ნაშრომს შეიძლება ერთვოდეს სხვადასხვა საილუსტრაციო მასალა - ფოტოები, მზა სტატისტიკური მასალები (ცხრილები, დიაგრამები), სქემები და სხვა დანართები, რომელთა შემუშავება არ მომხდარა დისერტაციის ავტორის მიერ, ასევე კითხვარები. თითოეული ილუსტრაცია დასათაურებული და დანომრილი უნდა იყოს. ძირითად ტექსტში მისი მითითება ხდება ფრჩხილებში ილუსტრაციის სათაურის მისი და გვერდის ნომრის მითითებით. მაგალითად, (იხ. ცხრილი 1. დანაშაულობის ზრდის მაჩვენებლები საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში. გვ. 215)

30.5 სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები და 210 გვერდზე მეტი. დასახელებული რაოდენობა არ მოიცავს გვერდებს, რომლებზეც განთავსდება დამატებითი მასალები, დისერტაციის ფორმალური ნაწილის კომპონენტები და ბიბლიოგრაფია.

30.6 სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემები: ფურცლის ზომა A4, ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. შრიფტი „სილფანინ“, ტექსტის შრიფტის ზომა 12, თავის სათაურის შრიფტის ზომა 14 Bold, ქვეთავის სათაურისა - 12 Bold, სქოლიოსი -10, ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი 1,5, ქვეთავის სათაური თავის სათაურისა და ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით, აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, ცხრილები და გრაფიკები ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით. ყოველი თავი იწყება ახალი გვერდიდან; მცირე ზომის სექციებისთვის (სარჩევი/შინაარსი, ცხრილების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა და სხვ.) აიღება ინტერვალის 1. გვერდის ველები: მარცხენა კიდიდან 3 სმ., მარჯვენა კიდიდან 1,5 სმ., ზედა და ქვედა კიდიდან 2 სმ., აბზაცი - ყველა სტრიქონი, თანაბრად უნდა იყოს დამორებული შესაბამისი მინდვრიდან. სატიტულოს გარდა, ყველა გვერდი ინომრება არაბული ციფრებით (1; 2; 3...). ნომერი განთავსდება ქვემოთ გვერდის მარჯვენა კიდეში.

30.7 ბიბლიოგრაფიული სქოლიოები უნდა გაკეთდეს „ფუტნოტის“ პრინციპით.

30.8 გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია) განთავსდება ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით ქართულ, შემდეგ კი - უცხოურ ენებზე. წყაროების ჩამოთვლისას დაცულ უნდა იქნას შემდეგი რიგითობა: წიგნები და მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები პერიოდულ გამოცემებში, დისერტაციები, სახელისუფლო და საერთაშორისო დოკუმენტები, ინტერნეტწყაროები.

30.9 გამოყენებული წყაროების ნუსხაში უნდა მიეთითოს:

30.9.1 წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

ავტორის/ავტორების გვარი და ინიციალი/ინიციალები, სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობის დასახელება, გამოცემის წელი.

მაგალითად: ქოჩაშვილი ქ. `მფლობელობა და საკუთრება – ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში“. თბილისი, ბონა კაუზა, 2017.

30.9.2 პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

ავტორის/ავტორების გვარი და ინიციალი/ინიციალები, სტატიის სათაური, ჟურნალის სახელწოდება, ტომის ნომერი, გამოცემის ნომერი, გამოცემის წელი.

მაგალითად: გოგიაშვილი გ. „როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს“. ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“ №1-2. 2015

30.9.3 სახელისუფლო დოკუმენტის გამოყენების შემთხვევაში:

უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი, დოკუმენტის სახე (კანონი, ბრძანება), დოკუმენტის დასახელება, გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებულ იქნა დოკუმენტი ან ინტერნეტწყარო ბმულის მინიშნებით.

მაგალითად: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მინისტრის ბრძანება #4 (15.01.2016) საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. <https://napr.gov.ge/p/1502>

30.9.4 ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

მასალის ავტორი, მასალის დასახელება, ბმულის მინიშნება, მასალის მოძიების თარიღი

30.10 სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა ახლდეს გაფართოებული რეზიუმე (ავტორეფერატი - დისერტაციის შემოკლებული ვერსია ქართულ ენაზე და, შესაბამისი თარგმანით, ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე. ქართული და უცხოენოვანი ვერსიები იკინდება ერთად სტანდარტული A5 ზომის 30-დან 45 გვერდამდე (თითოეულ ენაზე). რეზიუმეს სტრუქტურა სავალდებულო წესით უნდა მოიცავდეს სარჩევს, სადისერტაციო ნაშრომის შესავალს უცვლელად, დისერტაციის თითოეული თავის მოკლე მიმოხილვას, სადისერტაციო ნაშრომის დასკვნას სრულად და გამოყენებულ ძირითად ლიტერატურას. გაფართოებული რეზიუმე სქოლიოებს არ შეიცავს.

30.11 გაფართოებული რეზიუმეს ტექნიკური მონაცემები:

ფურცლის ზომა A5, ბეჭდვა უნდა წარმოებდეს ორივე გვერდზე. შრიფტი „Sylfaen“, ტექსტის შრიფტის ზომა 10, სათაურის შრიფტის ზომა 11 Bold, ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი 1, აბზაცები ერთმანეთისგან და სათაურისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით; გვერდის ველები: თითოეული კიდიდან 1,5 სმ., აბზაცი - ყველა სტრიქონი, თანაბრად უნდა იყოს დაშორებული შესაბამისი მინდვრიდან. სატიტულოს (ყდის) გარდა, ყველა გვერდი ინომრება არაბული ციფრებით (1; 2; 3...). ნომერი განთავსდება გვერდის ქვემო

მარჯვენა კიდეში. სატიტულო გვარდისა და ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალისადმი მოთხოვნები ისეთივეა, როგორც დისერტაციის შემთხვევაში.

მუხლი 31. დისერტაციის წარდგენა

31.1 დოქტორანტი კანცელარიას აბარებს დისერტაციის 2 და ავტორეფერატის 5 აკინძულ ბეჭდურ და თითო-თითო ელექტრონულ (PDF) ვერსიას და სადისერტაციო ნაშრომის 30.10 მუხლით გათვალისწინებულ თანმდევ დოკუმენტაციას.

31.2 დისერტაცია და წარმოდგენილი მასალები შემოწმების მიზნით განსახილველად წარედგინება სწავლულ მდივანს.

31.3 სწავლული მდივანი დისერტაციის ჩაბარებიდან ორ კვირის ვადაში ამზადებს შესაბამის დასკვნას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე.

31.4 დადებითი დასკვნის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სადისერტაციო საბჭო.

31.5 დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის წერილობითი დადებითი დასკვნა/დასკვნები.

31.6 სწავლული მდივანი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომს, დასკვნას დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული კომპონენტების დისერტაციისა და გაფართოებული რეზიუმეს სტანდარტების დაცვით შესრულების თაობაზე, თანმდევი დოკუმენტაციის შეფასების თაობაზე და მიმართავს შუამდგომლობით ოპონენტების დანიშვნის შესახებ.

31.7 დისერტაცია წარდგენისთანავე გადაეცემა სდასუ-ს ბიბლიოთეკას, ხოლო მისი გაფართოებული რეზიუმე განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის თანხლებით იმის შესახებ, რომ სადისერტაციო ნაშრომის სრული ვერსიის ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

31.8 დისერტაციასა და წარმოდგენილ აუცილებელ დოკუმენტაციაში საბჭოს თავმჯდომარის ან სწავლული მდივნის მიერ ხარვეზის/ხარვეზების დადგენის შემთხვევაში მასალები გამოსწორების მიზნით უბრუნდება დოქტორანტს.

31.9 დისერტაცია წარდგენილად ითვლება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისა და ოპონენტების დანიშვნის შემთხვევაში.

31.10 დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის საფასურის გადახდისგან სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის წარდგენის მომდევნო სემესტრიდან.

მუხლი 32. ოპონენტების დასკვნები დისერტაციის შესახებ

32.1 დისერტაციის წარდგენისას სადისერტაციო საბჭო ნიშნავს არანაკლებ ორ ოპონენტს.

32.2 დისერტაციის ოპონენტად შეიძლება დაინიშნოს სადისერტაციო საბჭოს წევრი ან სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი და რომელსაც აქვს კვლევის გამოცდილება დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული სამართლის შესაბამისი სპეციალიზაციით.

32.3 ოპონენტი დასკვნას სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს წარუდგენს მისთვის დისერტაციის გადაცემიდან 2 თვის განმავლობაში.

32.4 შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე ოპონენტი იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ; ბ) დისერტაციის დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

32.5 თუ ორიდან ერთი ოპონენტი უარყოფით დასკვნას დაწერს, დამატებით დაინიშნება ოპონენტი, რომელსაც დასკვნის წარმოსადგენად ეძლევა 1 თვე.

32.6 თუ ოპონენტთა უმრავლესობა უარყოფით დასკვნას დაწერს, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება და დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

32.7 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს ოპონენტთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე უნდა გავიდეს 1 თვე მაინც.

32.8 დოქტორანტს ეძლევა უფლება გაეცნოს ოპონენტთა დასკვნებს.

მუხლი 33. დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობა

33.1 დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ორი ოპონენტის დადებითი დასკვნა.

მუხლი 34. დისერტაციის დაცვის დანიშვნა

34.1 დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დოქტორანტის ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელთან და თანახელმძღვანელთან შეთანხმებით, ნიშნავს დისერტაციის დაცვის დღეს.

34.2 ამ დებულების 32-ე მუხლის 32.4-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს გადაეცემა დისერტაციის საბოლოო ვარიანტის ორი ბეჭდური ეგზემპლარი და ერთი ელექტრონული (PDF) ვერსია, ასევე გაფართოებული რეზიუმეს საბოლოო ვარიანტის 10 ბეჭდური ეგზემპლარი და ერთი ელექტრონული (PDF) ვერსია. დასახელებული მასალების თითო-თითო ვერსია ასევე გადაეცემა სდასუს, ხოლო დაცვის შემდეგ - საჯარო ბიბლიოთეკას.

34.3 გაფართოებული რეზიუმეს საბოლოო ვარიანტი განთავსდება სდასუს ვებგვერდზე არანაკლებ ერთი თვით ადრე დისერტაციის დაცვამდე ინფორმაციის თანხლებით იმის შესახებ, რომ სადისერტაციო ნაშრომის სრული საბოლოო ვერსიის ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

34.4 დისერტაციის დაცვის ორგანიზაციულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სამართლის სკოლა.

მუხლი 35. დისერტაციის დაცვა

35.1 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია აირჩევა სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის შესაბამისი სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით და მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

35.2 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მდივნისა და წევრ(ებ)ისაგან. სადისერტაციო კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 წევრისგან მაინც. სადისერტაციო კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლებით მონაწილეობენ ოპონენტები.

35.3 სწავლული მდივანი ვალდებულია დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე სადისერტაციო კომისიის წევრებს ელექტრონულად გადაუზავნოს: ა.დისერტაციის საბოლოო ვარიანტი; ბ.დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები; გ.ოპონენტების დასკვნები დისერტაციაზე.

35.4 სადისერტაციო კომისიის წევრი ვალდებულია გაეცნოს დისერტაციას, ოპონენტების წერილობით დასკვნებს და შეფასების არსებულ კრიტერიუმებს.

35.5 სადისერტაციო კომისიის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

35.6 გარდა სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრებისა, სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი.

35.7 დაცვის პროცესი მოიცავს:

ა) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ დღის წესრიგის პროექტის გაცნობას და დამტკიცებას;

ბ) დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის, სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრების, ოფიციალური ოპონენტების წარდგენას სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის მიერ;

გ) დოქტორანტის პერსონალური მონაცემებისა და სასწავლო-სამეცნიერო აქტივობის შესახებ ინფორმაციის გაცნობას სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის მდივნის მიერ;

დ) დოქტორანტის მიერ თემის წარდგენა-პრეზენტაციას, რომლის ხანგრძლივობა, არ უნდა აღემატებოდეს 40 წუთს;

ე) დისერტანტის პასუხს სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების, ასევე დამსწრე საზოგადოების შეკითხვებზე, რაც დროში რეგლამენტირებული არ არის;

ვ) ოფიციალური ოპონენტების მიერ დასკვნის წარდგენას, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 15-15 წუთს და დისერტანტის პასუხს შენიშვნებზე;

ზ) მეცნიერ-ხელმძღვანელის დასკვნის წარდგენას (არაუმეტეს 10 წუთი);

თ) აზრის გამოთქმას სადისერტაციო კომისიის წევრებისა და დამსწრე საზოგადოების მიერ (არაუმეტეს 3-3 წთ);

ი) დისერტაციის დაცვის შეფასებას დახურულ სხდომაზე ფარული წესით;

კ) დისერტაციის დაცვის შეფასების შედეგების გაცნობას;

ლ) დოქტორანტის 5-წუთიან დასკვნით სიტყვას.

35.8 ერთ დღეს ერთი სადისერტაციო კომისიის წინაშე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

35.9 დისერტაციის დაცვა შედგება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დასაშვებად იქნება მიჩნეული დისერტაციის დაცვა სხვა ენაზე, დისერტანტი ვალდებულია უზრუნველყოს იურიდიული განათლების მქონე კვალიფიციური თარჯიმნის მონაწილეობა დაცვის პროცესში.

35.10 დაცვის პროცესის მსვლელობასა და შედეგზე დგება დისერტაციის დაცვის ოქმი. დისერტაციის დაცვის პროცესის დოკუმენტირება ხდება, ასევე, სტენოგრაფიული ჩანაწერით, რომელიც წარმოადგენს ოქმის შემადგენელ ნაწილს.

35.11 ოქმის წარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის მდივანი.

მუხლი 36. დისერტაციის შეფასება

36.1 სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასების შესახებ იღებს ფარული წესით, უშუალოდ დაცვის შემდეგ დახურულ დასკვნით სხდომაზე.

36.2 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისია დისერტაციის შეფასებას განხორციელებს დანართი #6 შესაბამისად. დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობას არ ღებულობენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი. დისერტაციის შეფასების საშუალო მაჩვენებელს გამოიყვანს სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის თავმჯდომარე.

36.3 დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, თუ სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს დადგენილი მაქსიმალური შეფასების 51 %-ს და მეტს.

36.4 დისერტაციის შეფასება განხორციელდება შემდეგი სისტემით:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
81-90 ქულა	magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
71-80 ქულა	cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
61-70 ქულა	Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
51-60 ქულა	Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
41-50 ქულა	Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო)
0-40 ქულა	sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

36.6 სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე ღიად აცხადებს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმში.

36.7 თუ დისერტაციამ დაიმსახურა „არადამაკმაყოფილებელი“ (41-50 ქულა) შეფასება დოქტორანტს ეძლევა 1 წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. დისერტანტის განცხადება განმეორებითი დაცვის თხოვნით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე წარდგენილი უნდა იყოს

სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანთან, არაუგვიანეს 3 თვისა დისერტაციის დაცვის შედეგების გამოცხადებიდან.

36.8 არსებითი ხასიათის ხარვეზების გამო დისერტაციის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (41-ზე ნაკლები ქულა) შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

36.9 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე ღიად აცხადებს მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც აისახება სადისერტაციო კომისიის სხდომის ოქმში.

36.10 დაცული სადისერტაციო ნაშრომი განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

მუხლი 37. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

37.1 სადისერტაციო (დარგობრივი) კომისიის მიერ დისერტაციის დაცულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას განიხილავს და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის - doctoris iuris (შეესატყვისება PhD in Law) მინიჭების შესახებ შესახებ დადგენილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 38. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

38.1 სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება დასტურდება სამართლის დოქტორის დიპლომის გაცემით.

38.2 დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

38.3 დიპლომის გაცემამდე შესაბამის პირზე გაიცემა ცნობა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 39. დისერტაციის გამოქვეყნება

39.1 წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ერთი ელექტრონული (PDF) ვერსია გადაეცემა სდასუ-ს ბიბლიოთეკას.

39.2 წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების შემთხვევაში, დისერტაციის 2 ეგზემპლარი დისერტანტმა უსასყიდლოდ უნდა გადასცეს სდასუ-ს ბიბლიოთეკას და ერთი ეგზემპლარი ჩააბაროს საჯარო ბიბლიოთეკას.

39.3 საქართველოს და საზღვარგარეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ბიბლიოთეკებისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების, აგრეთვე იმ მეცნიერთა ნუსხა, ვისაც უნდა გაეგზავნოს წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, განსაზღვრავს და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

თავი V. სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

მუხლი 40. სამართლის საპატიო დოქტორის წოდება

40.1 სამართლის დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის და/ან ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს

შეიძლება მიენიჭოს სდასუ-ს სამართლის საპატიო დოქტორის – doctor iuris causa (Dr.iur.h.c.) – აკადემიური წოდება.

40.2 სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო.

თავი VI. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 41. გარდამავალი დებულებები

41.1 წინამდებარე დებულების ამოქმედებამდე სდასუ-ს სამართლის სკოლის დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა მიერ მოპოვებული კრედიტები და შეფასებული კვლევითი სამუშაოები გადახედვას არ ექვემდებარება.

41.2 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანების (# 07/ნ) შესაბამისად სტუდენტს, რომელსაც 2016 წლის 1 სექტემბრამდე კვლევით კომპონენტში მიღებული ჰქონდა შუალედური და დასკვნითი შეფასებები და მინიჭებული შესაბამისი კრედიტი, ეს კრედიტი/კრედიტები მას შეუნარჩუნდება. კვლევით კომპონენტში დადგენილ 120 კრედიტის ზღვრულ დონემდე დარჩენილი კრედიტების მოცულობა კი, მიენიჭება ამ სტუდენტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვას.

მუხლი 42. დასკვნითი დებულებები

42.1 სადისერტაციო საბჭოს წევრთა და დოქტორანთა უფლება-მოვალეობის, აგრეთვე დოქტორანტურაში სწავლასთან და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე დებულებაში, მოწესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, დოქტორანტურის სტანდარტით, სდასუ-ს დებულებით, სასწავლო პროცესის რეგულირების წესით და სამართლის სკოლის დებულებით.

42.2 სადისერტაციო საბჭოს საქმიანობასთან, დოქტორანტურაში სწავლასთან და სწავლებასთან, აგრეთვე დისერტაციის დაცვასთან და სდასუ-ს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები გადაწყდება სადისერტაციო საბჭოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის, სდასუ-ს დებულების, ეთიკის კოდექსით, სამართლის სკოლის დებულებითა და წინამდებარე დებულებაში მოცემული ნორმების საფუძველზე. შეუთანხმელობის შემთხვევაში, მოდავე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სდასუ-ს აკადემიურ საბჭოს ან სასამართლოს.

მუხლი 43. სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების შემუშავება და ძალაში შესვლა

43.1 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას შეიმუშავებს სამართლის სკოლის საბჭო და ამტკიცებს სდასუ-ს აკადემიური საბჭო.

43.2 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება ძალაში შედის სდასუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, რაც დადასტურდება რექტორის ხელმოწერით.

43.3 სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან მასში ყოველგვარი ცვლილება-დამატება ძალაში შევა ცვლილება-დამატებების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისა და რექტორის ხელმოწერისთანავე.

43.4 რექტორის ხელმოწერისთანავე წინამდებარე დებულება განთავსდება სდასუ-ს ვებ-გვერდზე.

დანართი 1

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორს,

პროფესორ თეიმურაზ ქორიძეს

განმცხადებელი _____
(სახელი, გვარი)

მისამართი _____

ტელ: _____

ელფოსტა: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს, სწავლა გავარგრძელო საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში

სადოქტორო

პროგრამაზე

_____ (სადოქტორო პროგრამის დასახელება)

სადოქტორო დისერტაციის სავარაუდო თემა (სადოქტორო საკვლევითი თემა) _____

—

—

თემის

(თემის სახელწოდება)
სავარაუდო

ხელმძღვანელი

_____ (სახელი, გვარი)

გთხოვთ, დამიშვათ უცხოური (მიუთითეთ ენა: _____) ენის გამოცდაზე/მიღიაროთ სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

_____ (სერტიფიკატის დასახელება) _____
ქულა

ვადასტურებ, რომ ვაკმაყოფილებ დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ მიღების პირობებს და სრულად წარმოგიდგენთ დებულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

პატივისცემით,

_____ “ _____ ” _____ 20 _____ წელი

განმცხადებლის ხელმოწერა

დანართი 2

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორს,

პროფესორ თეიმურაზ ქორიძეს

ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ბატონო თეიმურაზ,

ვადასტურებ, რომ არ ვაბარებ და არც ვსწავლობ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში (არც უარი მიმიღია სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურაში მიღებასა და/ან ჩემს მიერ შერჩეული თემის დამუშავებაზე).

პატივისცემით,

(სახელი, გვარი)

თარიღი:

დანართი 3



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----

სკოლა: -----

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: -----

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი, ბრძანება: -----

სასწავლო კომპონენტი	კურსის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	დოქტორანტის მიერ კრედიტების შესრულებისთვის არჩეული სემესტრი
სამართლებრივი კვლევის მეთოდები (წინაპირობის გარეშე)	სავალდებულო	6 კრედიტი	
სამეცნიერო წერის კულტურა იურისტებისათვის	სავალდებულო	5 კრედიტი	
ორი სასემინარო ნაშრომი	სავალდებულო	24 კრედიტი	
სწავლების თანამედროვე მეთოდები (წინაპირობის გარეშე)	სავალდებულო	5 კრედიტი	
პროფესორის ასისტენტობა (პედაგოგიური პრაქტიკა) (წინაპირობა:სწავლების თანამედროვე მეთოდები)	სავალდებულო	10 კრედიტი	
არჩევითი სასწავლო კურსები (წინაპირობის გარეშე)	არჩევითი	10 კრედიტი	

1.* არჩევითი (არჩევის შემთხვევაში) სასწავლო კურსები:	1. 2. 3. 4.
---	----------------------

2. * სამეცნიერო სტატიების (პუბლიკაციების) შესრულების სავარაუდო გრაფიკი და თემატიკა:

ა)I სამეცნიერო სტატია -----

ბ)II სამეცნიერო სტატია -----

ბ)III სამეცნიერო სტატია -----

3. * საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (დასახელება, ჩატარების თარიღი, ადგილი) -----

სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: -----

4. სადისერტაციო ნაშრომის მოკლე აღწერილობა:

a) კვლევის მიზანი: -----

b) საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა: -----

გ) სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა: -----

დოქტორანტის ხელმოწერა: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----

შენიშვნა: 1.* , 2.* , 3.* პუნქტები ივსება ხელით.

დანართი 4



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

პროფესორის ასისტენტობის შეფასების ფურცელი

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----

სკოლა: -----

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: -----

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი, ბრძანება: -----

კომპონენტის ხელმძღვანელი: -----

შესრულებული სამუშაო	დადებითი შეფასება	კომპონენტის შეფასება
სალექციო თემის მომზადება და ლექციის წაკითხვა	8 - 20 ქულა	
ჯგუფთან მუშაობა	5 - 15 ქულა	
შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება (ვარიანტების (საკითხების, ტესტების, კაზუსების, სხვ.)	3 - 10 ქულა	
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება	2 - 5 ქულა	
სტუდენტთათვის კონსულტაციის გაწევა	3 - 10 ქულა	
საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)	21 - 60 ქულა	

დოქტორანტის ხელმოწერა: -----

კომპონენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----

კომპონენტი	საჯარო ლექციის შეფასების კრიტერიუმები	დადებითი შეფასება	კომპონენტის შეფასება
შინაარსობრივი მხარე	სალექციო თემის გაშლა; არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიება; პრიორიტეტების შერჩევა და ლოგიკური გადასვლები; პრობლემაში ორიენტირება; პროფესიული ენით საუბარი; შეკითხვებზე დამაჯერებლად, არგუმენტირებულად პასუხი.	10 - 20 ქულა	
პრეზენტაციის ტექნოლოგია	ლექციისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად გამოყენება; კონტაქტი	10 - 20 ქულა	

	<p>აუდიტორიასთან; თემასთან ადეკვატური სლაიდ შოუ და ვიზუალური მასალა; აკადემიური მეტყველება და ლექსიკური მარაგი; საშინაო დავალების მკაფიოდ განსაზღვრა და ლიტერატურის ზუსტად მითითების უნარი.</p>		
<p>საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)</p>	<p>20 - 40 ქულა</p>		

დოქტორანტის ხელმოწერა: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელმოწერა: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----



დანართი 5

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების ფურცელი

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----

სკოლა: -----

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----
 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----
 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: -----

 დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: -----
 დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: -----
 სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელი: -----

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	მაქს. დადებითი შეფასება	კომპონენტის შეფასება
შინაარსი	პრობლემის აქტუალურობა; დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა ნაშრომი ძირითად საკვლევ საკითხებზე;	8 ქულა	
ანალიზის სიღრმე	ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის შესაბამისი ლიტერატურა, არის თუ არა ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი;	15 ქულა	
სტრუქტურა	არის თუ არა ნაშრომი კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. არის თუ არა ნაშრომი კარგად აგებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი არის თუ არა სრულად განვრცობილი.	7 ქულა	
საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)		30 ქულა	

სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

რეცენზენტის მიერ სასემინარო ნაშრომის შეფასების ფურცელი

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----
 სკოლა: -----
 სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----
 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: -----

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: -----

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: -----

რეცენზენტი: -----

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	მაქს.დადებითი შეფასება	კომპონენტის შეფასება
შინაარსი	პრობლემის აქტუალურობა; დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა ნაშრომი ძირითად საკვლევ საკითხებზე;	8 ქულა	
ანალიზის სიღრმე	ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის შესაბამისი ლიტერატურა, არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი;	15 ქულა	
სტრუქტურა	არის თუ არა ნაშრომი კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. არის თუ არა ნაშრომი კარგად აგებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი არის თუ არა სრულად განვრცობილი.	7 ქულა	
საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)		30 ქულა	

რეცენზენტის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სასემინარო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების ფურცელი

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----

სკოლა: -----

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი: -----

დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: -----

დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: -----

კომისიის წევრი: _____

კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	მაქს. დადებითი შეფასება	კომპონენტის შეფასება
პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე	ნაშრომის ძირითადი საკვანძო საკითხების და მიღებული შედეგების პრეზენტაცია; არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიება; პრობლემაში ორიენტირება; პროფესიული ენით საუბარი; შეკითხვებზე დამაჯერებლად, არგუმენტირებულად პასუხი;	10 ქულა	
პრეზენტაციის ტექნოლოგია	რეგლამენტის დაცვა; პრიორიტეტების ლოგიკური შერჩევა; ლოგიკური გადასვლები; კონტაქტი აუდიტორიასთან; თემასთან ადეკვატური სლაიდ შოუ და ვიზუალური მასალა; აკადემიური მეტყველება;	10 ქულა	
სამეცნიერო დისკუსიის უნარი	პასუხები სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შენისვნებსა და წინადადებებზე. არგუმენტაცია.	10 ქულა	
შედეგები	სასემინარო ნაშრომის შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები;	10 ქულა	
საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)		40 ქულა	

კომისიის წევრის ხელმოწერა: -----

თარიღი: -----



**შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ფურცელი**

დოქტორანტის სახელი და გვარი: -----
 სკოლა: -----
 სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: -----
 სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: -----
 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: -----
 დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი: -----
 დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი: -----
 დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: -----
 სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება: -----

შეფასების მეთოდი და კომპონენტი	შეფასების კრიტერიუმები	შეფასება	კომპონენტის შეფასება ქულებით	შეფასების დასაბუთება
წერილობითი/ნაშრომის სახელწოდება	ნაშრომის სახელწოდება ინფორმაციული თვალსაზრისით ზუსტია და ლაკონური; სათაური შეესაბამება მის ტექსტს.	3-5 ქულა		
	ნაშრომის სათაური შინაარსობლივად აცდენილია ტექსტთან. განხილული საკითხები არ შეესაბამება ნაშრომის თემას და სტრუქტურას.	0-2 ქულა		
წერილობითი/სტრუქტურა	ნაშრომი არის კარგად სტრუქტურირებული და იძლევა დასახული კვლევითი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას. კეთდება აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე. უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონე ფაქტებს. ნაშრომი არის კარგად აგებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. პარაგრაფიდან პარაგრაფზე (ქვეპარაგრაფიდან ქვეპარაგრაფზე) გადასვლა ლოგიკურ ბმავშია. თითოეული პარაგრაფი/ქვეპარაგრაფი	3-5 ქულა		

	სრულად არის განვრცობილი და სხვა.			
	სტრუქტურა არავალიდურია. ზოგიერთი პარაგრაფი არარელევანტურია კვლევის მიზნებთან მიმართებაში. დისერტაცია გადატვირთულია არამნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი მასალებით. არ იგრძნობა თანამიმდევრობა, ლოგიკური ბმა.	0-2 ქულა		
წერილობითი/ აქტუალობა და შინაარსი	სადისერტაციო ნაშრომი აქტუალურია; დისერტაციაში დასმული ძირითადი პრობლემა/პრობლემები სრულად არის წარმოჩენილი. ვლინდება დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი; ავტორის მიზანი მკაფიოა, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსურია. ნაშრომი კონცენტრირებულია ძირითად საკვლევ საკითხებზე; აზრი სისტემურად არის ფორმირებული და სრულყოფილად ჩამოყალიბებული. დისერტაციის კვლევითი ამოცანა/ამოცანები სრულადაა გადაწყვეტილი.	8-17 ქულა		
	საკვლევი პრობლემა, თემის აქტუალობა და კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა არაკვალიფიცირებულად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის. ნაშრომში კვლევის მიზნები და შედეგები არასრულყოფილად არის გადმოცემული.	0-7 ქულა		
წერილობითი/ ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი	სახეზეა სადისერტაციო თემის სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებთან და შედეგებთან. ეფექტურად არის გამოყენებული კვლევის ადექვატური მეთოდები. ავტორის მიერ ყველა იდეა განვითარებულია. საკვლევი საკითხი შესწავლილია სიღრმისეულად, ამომწურავად. ავტორის პოზიცია გამყარებულია ნათელი და სარწმუნო არგუმენტებით.	10-20 ქულა		
	კვლევის მეთოდები არაკვალიფიცირებულად არის შერჩეული. კვლევის ხარისხი დაბალია და ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას;	0-9 ქულა		
წერილობითი/ ნაშრომის სიახლე	მოხდა ახალი ცოდნის შექმნა. დისერტანტის მიერ დარგში შეტანილი წვლილი მნიშვნელოვანია. კვლევის შედეგები დამაჯერებელია. შემუშავებულია საკვლევი პრობლემისადმი ახლებური მიდგომა. არის ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. დასკვნებში სუსტი ადგილები არ მოიპოვება. დასკვნები ლოგიკურია. დასკვნითი დებულებებისა და	10-20 ქულა		

	რეკომენდაციების პრაქტიკული ღირებულება მნიშვნელოვანია.			
	კვლევის მოსალოდნელი შედეგები არაკვალიფიცირებულად, ყოველგვარი ლოგიკურობისა და დასაბუთების გარეშეა ჩამოყალიბებული. კვლევა არ შეიცავს სიახლეს.	0-9 ქულა		
წერილობითი/ მონაცემთა სარწმუნოება	საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროები, სამეცნიერო და ციტირებული ლიტერატურა, ფაქტობრივი მონაცემები დამუშავებულია სრულად და კრიტიკულად. მონაცემების სისწორე დაცულია. გამოყენებული წყაროები ავტორიტეტულია. ავტორი მონაცემებს იღებს პირველწყაროდან. მოყვანილი ციტატები ტექსტს ერწყმის ორგანულად და მოტანილია შესაბამისი ლიტერატურიდან. ყველა ციტირებული წყარო აღნიშნულია ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში. გამოყენებულია შესაბამისი შინაარსის და საკმარისი რაოდენობის უახლესი პუბლიკაციები. წყაროები სპეციფიკურია და არა ზოგადი; გამოყენებულია უცხოურენოვანი ლიტერატურა.	4 - 8 ქულა		
	გამოყენებული ლიტერატურა მოძველებულია, არარელევანტურია. წყაროები არასაკმარისია. მითითებული ციტირებები ან ფორმალურ ხასიათს ატარებს ან კიდევ არასრულყოფილად არის გაანალიზებული. უახლოესი პერიოდიკა არ არის გამოყენებული. სქოლიოები სხვა ლიტერატურიდან არის მექანიკურად გადმოტანილი. გამოყენებული უცხოურენოვანი ლიტერატურა არასაკმარისია.	0-3 ქულა		
წერილობითი/აკადემიური წერის სტილი	აკადემიური წერის უნარ-ჩვევები სრულყოფილია. ნაშრომი აკმაყოფილებს სადისერტაციო ნაშრომისათვის დადგენილ აკადემიური წერის სტანდარტებს; კვლევაში სახეზეა მსჯელობის თანამიმდევრული განვითარება. დოქტორანტმა შეძლო ანალიზისა და სინთეზის კვლევაში გამოყენება.	3 -5 ქულა		
	ნაშრომის გაფორმების დონე არაადაკმაყოფილებელია.	0-2 ქულა		

	ვლინდება ენობრივი ხარვეზები. აზრები ბუნდოვანია. აკადემიური წერის კულტურა დაბალია.			
წერილობითი/ მითითება	ციტატები ბრჭყალებშია მოცემული. სქოლიოში მითითებულია შესაბამისი ციტატის ავტორი, თავად ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, შესაბამისი გვერდ(ებ)ი; პერეფრაზის ან აზრის ფორმირების შემთხვევაში სქოლიოში ზუსტად არის მითითებული შესაბამისი წყარო. მითითებისას დაცულია დათქმული წესი.	3 -5 ქულა		
	მითითების სანდოობა ეჭვს იწვევს. სახეზეა სქოლიოების სიმცირე. ინერნეტ რესურსის გამოყენებისას დაცული არ არის მითითების დათქმული წესი.	0-2 ქულა		
ზეპირი/ პრეზენტაცია, სამეცნიერო დისკუსია	ნაშრომის ძირითადი საკვანძო საკითხები და მიღებული შედეგები სრულად აისახა პრეზენტაციაში; დისერტანტი იშველიებდა არგუმენტებსა და ფაქტებს; საუბრობდა პროფესიული ენით; ჰქონდა გამართული აკადემიური მეტყველება; პრიორიტეტები ლოგიკურად შეარჩია; ჰქონდა ლოგიკური გადასვლები; დაიცვა რეგლამენტი; შეძლო აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება; გამოავლინა სამეცნიერო დისკუსიისა და კამათის კულტურა; გამოიყენა თემასთან ადეკვატური სლაიდები და სხვა სახის ვიზუალური მასალა; შეკითხვებზე დამაჯერებლად, არგუმენტირებულად პასუხობდა.	7-15 ქულა		
	ვლინდება საკითხის არცოდნა. პასუხები არადამაჯერებელია. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის. კვლევის შედეგების განსჯა არაკვალიფიცირებულია. არასათანადოა სამეცნიერო დისკუსიის უნარი; პრეზენტაციისათვის გამოყენებული მასალა არადამაკმაყოფილებელია.	0-6 ქულა		
საბოლოო შეფასება (ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)		51- 100 ქულა		

სადისერტაციო კომისიის წევრ(ებ)ის ხელმოწერა: -----

სადისერტაციო კომისიის თავმჯდომრის ხელმოწერა -----

თარიღი: -----